სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16908798573622

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

**იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N221609725**

რეგისტრაციის თარიღი

24.11.2022 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაოთხ ნოემბერს, მე, ნოტარიუს ია ყიფიანის, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 68-ში მომმართა ბატონმა **გია ბაძრაძემ** (დაბ. 10.01.1962 წელს, პირადი № 01017011408, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 23).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან სს "საქწყალპროექტი"-ს (ს/კ 204853943) შესახებ მოშზადების თარიღი 28/09/2021 11:04:38 წელს, რეგისტრაციის № B21097137, როგორც ამ საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ **დავით გოგუაძეს** (დაბ. 03.04.1989 წელს, პირადი № 01024062497, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 31). მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი თანდასწრებით.

## მინდობილობა

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაოთხ ნოემბერს, ბატონმა **გია ბაძრაძემ** (დაბ. 10.01.1962 წელს, პირადი № 01017011408, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა, N 23), როგორც სს "საქწყალპროექტი"-ს (ს/კ 204853943) გენერალურმა დირექტორმა - შემდგომში "მიმნდობი პირი" ბატონ **დავით გოგუაძეს** (დაბ. 03.04.1989 წელს, პირადი № 01024062497, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 31) - შემდგომში "მინდობილი პირი " მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის მერიაში, ყველა საჯარო ინსტანციაში, მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ერთეულებში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებებში, რათა მიიღოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებაზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 74/11 (ს.კ № 01.14.11.001.001) ნებართვა, სპეცნებართვა, შეათანხმოს პროექტი, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, განახორციელოს კორექტორება, გამოასწოროს რეგისტრაციის დროს წარმოშობილი ნებისმიერი ხარვეზი, მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები, განაცხადოს თანხმობა მარწმუნებლის მაგიერ, მიიღოს და/ან წარადგინოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, მიიღოს გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაარეგისტრიროს პროექტი/დოკუმენტი მარეგისტრირებელ ორგანოში, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, მარწმუნებლის მაგიერ, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად

მინიჭებული უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს 2023 წლის 24 მაისის ჩათვლით მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილი და დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე – 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, ჯამში: 40.40 ლარი

ნოტარიუსი ია ყიფიანი